02/08/2024

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კაპელანები თავდაცვის მინისტრს, ირაკლი ჩიქოვანს შეხვდნენ

ამა წლის 2 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კაპელანები თავდაცვის მინისტრს, ირაკლი ჩიქოვანს შეხვდნენ, რომელმაც ქართული ჯარისთვის კაპელანების მნიშვნელოვან როლზე ისაუბრა და სამხედრო მოძღვრებს კაპელანის ინსტიტუტის გაძლიერებაში თანადგომა აღუთქვა. მინისტრმა მზაობა გამოხატა, ხელი შეუწყოს სამხედრო ქვედანაყოფებში ტაძრებისა და სამლოცველოების აღმშენებლობას.

თავდაცვის ძალების მთავარმა კაპელანმა, დეკანოზმა დავით ლონდარიძემ ირაკლი ჩიქოვანს კაპელანთა ინსტიტუტის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა და კაპელანთა კორპუსის სახელით, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელს სიმბოლური საჩუქარი – სახარება გადასცა.

თავდაცვის უწყების ფინანსური დახმარებითა და მხარდაჭერით თავდაცვის ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფში აშენებულია და მოქმედებს 19, ხოლო მშენებლობის პროცესშია 5 ტაძარი.

[საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური]